საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეფრემი

ეფრემი (XIII–XIV სს. მიჯნა), მინიატიურისტი და კალიგრაფი. 1300 მოქვის მთავარეპისკოპოსის დანიელის შეკვეთით გადაწერა მოქვის ოთხთავის სახელით ცნობილი სახარება, რ-იც ერთ-ერთი უმდიდრესი ქართ. ხელნაწერია მინიატიურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ [152 მინიატიურა, 531 საზედაო ასო (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი Q-902)]. ხელნაწერის მორთულობა ტრადიციულია: 10 კამარა, ვედრება, მახარებლები, თავსამკაულები, მინიატიურები სახარების სიუჟეტებითა და საზედაო ასოებით. სიუჟეტის მხრივ საგანგებოდაა აღსანიშნავი იშვიათი გამოსახულება – ქრისტეს გენეალოგიური ხე და ღვთისმშობელი ყრმით, რ-თა წინ მუხლი მოუყრია დანიელ მოქველს. სახარების მორთულობისთვის ე. ოსტატურად იყენებს მცენარეებს, ფრინველთა და ცხოველთა ფიგურებს; საზედაო ასოების ნაწილი ფერადი ზოლებით (ოქროსი, ლურჯი, წითელი) არის გამოყვანილი; ზოგი ფიგურა საკმაოდ რეალისტურადაა წარმოდგენილი.

ვ. ბერიძე